ევროკავშირის დახმარების ინსტრუმენტები

http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/assistance/instruments

ევროკავშირის დახმარების ძირითადი ინსტრუმენტები/პროგრამები და მათი მიზნები
2007 წლიდან ევროკავშირის დახმარება საქართველოსთვის ძირითადად შემდეგი ინსტრუმენტების ფარგლებში ხორციელდება:

1. **გეოგრაფიული ინსტრუმენტები;**
2. **თემატური ინსტრუმენტები;**
3. **საფინანსო ინსტიტუტების საინვესტიციო პროექტები (EBRD, EIB, KfW);**
4. **ევროკავშირის პროგრამები და სააგენტოები.**

ევროკავშირის დახმარება მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ჩარჩო შეთანხმებებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში ასახული პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების მხარდაჭერას:

– პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებით (Partnership and Cooperation Agreement - PCA) განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულება, რომელიც ძალაშია ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) ხელმოწერამდე;

– ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულება (ENP AP), “აღმოსავლეთ პარტნიორობის” (EaP) ინიციატივის ჩათვლით;

– ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) გასაფორმებლად მოლაპარაკებების პროცესის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ჩათვლით, მხარდაჭერა და შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელების ხელშეწყობა;

– პარტნიორობა მობილურობისათვის (Mobility Partnership) ფარგლებში თანამშრომლობა.